სამოქალაქო განათლების ტესტი

2015

ინსტრუქცია

ტესტი ეყრდნობა სამოქალაქო განათლების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. იგი ამოწმებს მასწავლებლის საგნობრივ კომპეტენციასა და საგნის სწავლების მეთოდიკას.

თქვენს წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტში სხვადასხვა ტიპის დავალებებია. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ შეკითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ. ყველა პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ. წერეთ გარკვევით. პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

ტესტის ბუკლეტის ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის.

გაითვალისწინეთ:

გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ტესტის მაქსიმალური ქულაა -70

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

- **არჩევითბოლოიანი დავალება (№1-9, 18.1, 19, 20)**

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით **X** ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. შეუძლებელია გადასწორებული პასუხის ხელმეორედ არჩევა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

- **თანმიმდევრობის დადგენა (№11)**

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

- **შესაბამისობის დადგენა (№12-14, 21)**

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **შეცდომის გასწორება (№15,16)**

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **დავალება ღია დაბოლოებით (№10, 17, 18.2-18.5, 22-25)**

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით და მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

I. ცოდნა და უნარები

1. **ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პირველ მუხლში წერია: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.“ ჩამოთვლილი უფლებებიდან, რომელი მიეკუთვნება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს?**

   ა. შემოსავლის ქონის უფლება

   ბ. გადაადგილების თავისუფლება

   გ. კერძო საკუთრების ქონის უფლება

   დ. რელიგიის და სინდისის თავისუფლება

2. **ჩამონათვალიდან რომელი *არ არის* კულტურული მრავალფეროვნების ორგანიზების სამ ძირითად ფორმათაგან ერთ-ერთი?**

   ა. სეგრეგაცია

   ბ. ასიმილაცია

   გ. თანაარსებობა

   დ. კონკურენცია

3. **რა ეწოდება ადამიანის დისკრიმინაციას ან პიროვნულ უკმაყოფილებას მისი უნიკალური თავისებურებით, რომლითაც იგი განსხვავდება სოციალური გარემოსგან?**

   ა. სტიგმა

   ბ. ბულინგი

   გ. სტერეოტიპი

   დ. სოციალიზაცია

4. **რა ეწოდება მმართველობის ფორმას, რომლის დროსაც ერთი პირია შეუზღუდავი, უმაღლესი ძალაუფლების მატარებელი?**

   ა. თეოკრატია

   ბ. ავტოკრატია

   გ. ოხლოკრატია

   დ. არისტოკრატია

5. ეკონომიკურ სიტუაციას, როდესაც ბაზარზე მრავალი მომხმარებლის მოთხოვნას რამდენიმე მსხვილი სუბიექტი აკმაყოფილებს, _____ ეწოდება. ასეთ ბაზარზე შეღწევა გართულებულია და დიდ ინვესტიციას მოითხოვს.

ა. მონოპოლია

ბ. ოლიგოპოლია

გ. კონკურენცია

დ. სრულყოფილი კონკურენცია

6. რა იდეის მატარებელია მოცემული ილუსტრაცია?



ა. სეგრეგაცია

ბ. პოლარიზაცია

გ. დისკრიმინაცია

დ. სეკულარიზაცია

7. საქართველოს კანონმდებლობით ქვეყნისათვის საგარეო საფრთხის არსებობის შემთხვევაში საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლება აქვს:

ა. პრეზიდენტს

ბ. პრემიერ მინისტრს

გ. თავდაცვის მინისტრს

დ. პარლამენტის თავმჯდომარეს

8. რომელი *<u>არ არის</u>* მართებული მსჯელობა საქართველოს პარალამენტის ფრაქციათა შესახებ?

ა. პარლამენტის წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში

ბ. ფრაქციის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ პარტიულ საფუძველზე

გ. ფრაქციის ჩამოყალიბების უფლება აქვს არანაკლებ ექვს პარლამენტის წევრს

დ. ფრაქცია არის საერთო პოლიტიკური შეხედულებებისა და ინტერესების მქონე პარლამენტის წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება

9. ევროპული საბჭოს შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული?

ა. ევროპული საბჭოს შემადგენლობაში შედის 47 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც

ბ. ევროპული საბჭო განიხილავს ევროსაბჭოს ქვეყანათა შორის არსებულ სამართლებრივ დავებს

გ. ევროპული საბჭოს ძირითადი ფუნქციაა ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობის დამყარება

დ. ევროპული საბჭოს მიზანია ევროკავშირის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების შემუშავება, მისი განვითარების სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა

10. (1) გაეცანით სქემას და დაასახელეთ საწარმოო რესურსების სახეები:



11. (1) **სქემაზე არათანმიმდევრულად არის მოცემული სამოქალაქო მონაწილეობის საფეხურები:**

1. უფლებამოსილება	• გადაწყვეტილების მიმღებნი თავად სამოქალაქო საზოგადოების წევრები თუ ჯგუფები არიან;
2. ჩართულობა	• საზოგადოების წევრები და ჯგუფები წარადგენენ საკუთარ იდეებს და მოსაზრებებს. ძალაუფლების მიმღებებთან ერთად განიხილავენ საუკეთესო ალტერნატივებს;
3. თანამშრომლობა	• სამოქალაქო საზოგადოების წევრები და ჯგუფები განიხილავენ საუკეთესო შესაძლებლობებს გარკვეულ საკითხთან მიმართებით და ქმნიან ერთიან კოალიციას გადაწყვეტილების მიმღებებთან ერთად;
4. ინფორმირება	• მოქალაქეები ინფორმირებულები არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ;
5. კონსულტაცია	• გადაწყვეტილების მიმღებები კონსულტაციას გადიან მოქალაქეებთან.

დაალაგეთ საფეხურები მონაწილეობის ხარისხის ზრდის მიხედვით:

			3*	

*სწორი პასუხი მითითებულია ცხრილში

12. (2) დაამყარეთ შესაბამისობა I სვეტში მოცემულ პიროვნების ქცევის მახასიათებლებსა და II სვეტში მოცემულ ქცევის მოდელებს შორის:

I. ქცევის მახასიათებლები	II. ქცევის მოდელი
ა. პიროვნება თვითდამკვიდრებას ახორციელებს სხვათა ხარჯზე; **ბ.** შეუძლია საკუთარი საჭიროებებისა და ინტერესების სხვათა უფლებებთან შეთანხმება; **გ.** პიროვნებას აქვს დანაშაულის გრძნობა როგორც წარმატების, ისე წარუმატებლობის შემთხვევაში; **დ.** სხვები ახორციელებენ თვითდამკვიდრებას პიროვნების ხარჯზე; **ე.** ცდილობს სხვებს აგრძნობინოს თავი დამნაშავედ. არ აქვს დანაშაულის გრძნობა; **ვ.** გამოყოფს სხვათა პასუხიმგებლობას საკუთარი პასუხისმგებლობისაგან; **ზ.** წარმატებას მიაწერს გარე მოვლენებს; **თ.** აცნობიერებს საკუთარ ემოციებს, გამოხატავს მათ სიტყვებით და უკავშირებს სხვათა შთაბეჭდილებებს.	**1. აგრესიული** **2. პასიური** **3. თავდაჯერებული**

I	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ
II								

13. (2) შეუსაბამეთ კონფლიქტურ სიტუაციაში პიროვნების ქცევის სტრატეგიები საკუთარ ინტერესზე ორიენტაციისა და პარტნიორობის (სხვათა ინტერესთა დაკმაყოფილების) შესაბამის ხარისხს:

I. საკუთარ ინტერესებზე ორიენტაციისა და პარტნიორობის ხარისხი	II. ქცევის სტრატეგია
ა. საკუთარ ინტერესზე ორიენტაციის ხარისხი მაღალია, ხოლო პარტნიორობის ხარისხი -დაბალი; ბ. ხასიათდება როგორც საკუთარ ინტერესზე ორიენტაციის, ისე პარტნიორობის საშუალო ხარისხით; გ. მაღალია როგორც საკუთარ ინტერესზე ორიენტაციის, ისე პარტნიორობის ხარისხი; დ. დაბალია როგორც საკუთარ ინტერესზე ორიენტაციის, ისე პარტნიორობის ხარისხი; ე. საკუთარ ინტერესზე ორიენტაციის ხარისხი დაბალია, ხოლო პარტნიორობის ხარისხი -მაღალი.	1. არიდება 2. შეგუება 3. კომპრომისი 4. კონკურენცია 5. თანამშრომლობა

I	ა	ბ	გ	დ	ე
II					

14. (1) რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყანათა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს (Heritage Foundation, 2015). **რუკის ანალიზის საფუძველზე, დაამყარეთ შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის.**



I.	II.
ა. ნარინჯისფერი **ბ. მწვანე** **გ. წითელი** **დ. ყვითელი**	1. ეკონომიკური თავისუფლების დაბალი დონე 2. ეკონომიკური თავისუფლების საშუალო დონე 3. ეკონომიკური თავისუფლების საშუალოზე მაღალი დონე 4. ეკონომიკური თავისუფლების მაღალი დონე

I	ა	ბ	გ	დ
II				

15. (6) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

ადამიანის უფლებები და სასამართლო სისტემა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად: „ადამიანი, მისი უფლებები და მოვალეობები უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და აღიარება სახელმწიფოს მოვალეობაა“.

იმისათვის რომ ადამიანებმა შეძლონ საკუთარი უფლებების რეალიზება, საზოგადოების ცხოვრება მოწესრიგებულია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონებით. ამას გარდა, სახელმწიფო ორგანოსა თუ თანამდებობის პირს, ძირითადი კანონის ფარგლებში, აქვს ამა თუ იმ წესის დადგენის უფლებაც. ამგვარ ოფიციალურ დოკუმენტს სამართლებრივი აქტი ეწოდება. თუ ამგვარი წესი მრავალჯერადი გამოყენებისათვის არის განკუთვნილი, მას ლეგიტიმური სამართლებრივი აქტი ეწოდება. ხოლო, თუ ის მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებს ეხება მას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ეწოდება. მსგავს სამართლებრივ აქტებს კანონგარეშე ეწოდება, რადგან ისინი ძირითად კანონს უნდა შეესაბამებოდნენ.

კანონდარღვევების განხილვის საკითხი სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივაა. საქართველოში საერთო სასამართლო სისტემა სამი ტიპის სასამართლოსაგან შედგება: რაიონული (საქალაქო), საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოები.

იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქემ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ქვეყნის ყველა ინსტანციაში გაასაჩივრა და კვლავ უკმაყოფილოა განაჩენით, მას საშუალება ეძლევა მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელიც ქალაქ ბრიუსელში მდებარეობს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შექმნილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის პეტიციის საფუძველზე. აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულება შემუშავდა 1959 წელს ევროპის საბჭოს ფარგლებში.

16. (7) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ

2015 წლის 7 იანვარს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა ფრანგული სატირული ჟურნალის „შარლი ებდოს“ რედაქციაზე. ტერორისტული აქტის შედეგად გარდაიცვალა ჟურნალის 10 თანამშრომელი და პოლიციის ორი ოფიცერი. მოგვიანებით თავად თავდამსხმელებიც ლიკვიდირებულ იქნენ პოლიციის მიერ.

,,შარლი ებდოზე“ თავდასხმას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიოში. აღნიშნული ფაქტი აღქმულ იქნა არა მხოლოდ კონკრეტული ჟურნალის, არამედ ზოგადად სიცოცხლის თავისუფლების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად.

პარიზის ტერაქტი პირველი არ არის, რომელმაც მსგავსი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში. 2003 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა გაიტაცეს თვითმფრინავები და ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე სტრატეგიულ ობიექტს შეაჯახეს. ამ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა აიღო ტერორისტულმა დაჯგუფება ჰამასმა. სწორედ აღნიშნული ტერაქტი გახდა საბაბი ტერორიზმის წინააღმდეგ მასშტაბური კამპანიის დაწყებისა, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ჩაერთო. სამხედრო კამპანიაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც გაეროს წევრი, აგრეთვე არაწევრი ქვეყნები.

სამხედრო ოპერაციის წარმოების დროს ხშირია შემთხვევა, როდესაც ტერორისტები მიმართავენ ომის წარმოების აკრძალულ მეთოდებს. აღნიშნულ მეთოდებზე სამყაროს ქვეყნები შეთანხმდნენ 1949 წელს, ე.წ. ვენეციის კონვენციის შეთანხმების შედეგად. სულ მიღებულ იქნა ოთხი კონვენცია, რომელსაც შემდგომ ორი ოქმი დაემატა და ერთობლიობაში ისინი წარმოადგენენ საერთაშორისო სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლურ დოკუმენტებს. მაგალითად, კონვენცია გულისხმობს სამხედრო ტყვეებისათვის სიცოცხლის შენარჩუნების პირობასაც, თუმცა არაერთი შემთხვევა ცხადყოფს, თუ როგორ უსწორდებიან ტერორისტული დაჯგუფების წევრები სამხედრო ტყვეებს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას იღებს საქართველოს სახელმწიფოც, რომლის შენაერთებიც ავღანეთსა და სირიაში იბრძვიან.

17. (3) მოცემული რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:

17.1 რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნებია გამოსახული რუკაზე ლურჯი ფერებით?

17.2 ორგანიზაციის ისტორიიდან გამომდინარე, ორგანიზაციის წევრი ქვეყნები აღნიშნულია ლურჯი ფერის ორი სხვადასხვა ტონით. რა პრინციპის საფუძველზეა დაჯგუფებული ღია ლურჯი ფერით აღნიშნული წევრი ქვეყნები?

17.3 დაასახელეთ მნიშვნელოვანი მოვლენა ამ ორგანიზაციისა და საქართველოს ურთიერთობის თანამედროვე ისტორიიდან.

18. (8) გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1

"უწმინდესი მოვალეობა საზოგადოებისა, ესე იგი მთავრობისა, რომლის წყალობითაც ადამიანი ადამიანობს, იგია, რომ ადამიანის „მე"-ს დღემუდამ მფარველობდეს, უმიზეზოდ, უდანაშაულოდ შინ არავინ შეუსიოს და არავის გააქელვინოს; მის სულიერს და ნივთიერს კუთვნილებაზედ მშვიდობით და სხვის ხელშეუხებლად ამფლობელოს და ამით, რამდენად შესაძლოა, სრულ და ბედნიერ ჰყოს. თვითონ მიზეზი და საბუთი საზოგადოების არსებობისა მარტო ეგ მოვალეობაა და სხვა არა-რა." ***ილია ჭავჭავაძე, „შინაურ საქმეთა გამო", 1886 წელი***

წყარო N2

„რაკი სუვერენი (მმართველი) უმრავლესობის ხმებით გამოცხადდა, ის, ვისაც სხვა აზრი ჰქონდა, ახლა დანარჩენს უნდა დაეთანხმოს ანუ [საკუთრად] აღიაროს სუვერენის ყველა ქმედება. სხვა შემთხვევაში სამართლიანი იქნება, თუ სხვებმა ის გაანადგურეს. რამეთუ, თუ ის ნებაყოფლობით შევიდა შეკრებილთა ერთიანობაში, მან ამით საკმარისად განაცხადა თავისი ნება და ფარულად დაეთანხმა, რომ გაიზიარებს უმრავლესობის გადაწყვეტილებებს. მაშასადამე, თუ ის ხელს აიღებს [ასეთ გაზიარებაზე] ან პროტესტს გამოთქვამს [სუვერენის] რომელიმე გადაწყვეტილების გამო, ის საკუთარ ხელშეკრულებას დაუპირისპირდება და, აქედან გამომდინარე, უსამართლო იქნება." ***თომას ჰობსი, „ლევიათანი", 1651***

18.1 ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელი შეესაბამება ჰობსის ტექსტს:

ა. თუკი მმართველი უსამართლო გადაწყვეტილებებს იღებს, ადამიანს აქვს უფლება მას არ დაემორჩილოს

ბ. თუკი მმართველი არჩეულია უმრავლესობის მიერ, მას უნდა დაემორჩილოს ისიც, ვისაც ის არ აურჩევია, რაც არ უნდა უსამართლო იყოს მისთვის მმართველის ქმედებები

გ. უმრავლესობის მიერ არჩევის მიუხედავად, მმართველი ვალდებულია უმცირესობის უფლებებიც დაიცვას

დ. მმართველის მიმართ პროტესტის გამოთქმა სამართლიანია, რამდენადაც მმართველის ქმედებებით ყველა კმაყოფილი ვერ იქნება

18.2 მმართველობის რომელი ფორმა ემყარება იმ იდეას, რომელიც აღწერილია წყარო N1-ში; წყარო N2-ში?

18.3 იმსჯელეთ, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს შეუზღუდავ სახელმწიფო ძალაუფლებას:

18.4 რა საშუალებები არსებობს სახელმწიფო ძალაუფლების კონტროლისათვის?

18.5 იმსჯელეთ არგუმენტირებულად, უნდა დაექვემდებაროს თუ არა სახელმწიფოს გადაწყვეტილებები მხოლოდ უმრავლესობის ნებას:

II. საგნის სწავლების მეთოდიკა

19. მასწავლებელმა კონკრეტული სასწავლო შედეგების მისაღწევად დაგეგმა ქვემოთ აღწერილი საგაკვეთილო აქტივობა:

<u>სასწავლო აქტივობა:</u> *მოსწავლეები იხსენებენ კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სხვადასხვა ტიპებს. ამის შემდეგ მასწავლებელი აცნობს მას კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის მოდელების სქემას. კლასი იყოფა ოთხ ნაწილად და 15 წუთიანი მსჯელობის შემდეგ თითოეული ჯგუფი ასაბუთებს ამა თუ იმ მოდელის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას, მოიძიონ რაიმე კონფლიქტური სიტუაცია და განსაზღვრონ, მათი აზრით, რომელი მოდელი იქნება საუკეთესო მისი დარეგულერებისათვის.*

ქვემოთ ჩამოთვლილი შედეგებიდან რომელი <u>ვერ მიიღწევა</u> მოცემული აქტივობით?

ა. განივითარებენ ჯგუფებში მუშაობის უნარ-ჩვევებს

ბ. გაიაზრებენ კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის მოდელებს

გ. მოახდენენ საკუთარი შესაძლებლობების კრიტიკულ ანალიზს

დ. განივითარებენ საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად გამყარების უნარს

20. თქვენი მიზანია, მოსწავლეებმა გაანალიზონ განსხვავებები შინაგან და გარეგან მოტივაციას შორის და გაიაზრონ მოტივაციის მნიშვნელობა სამოქალაქო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. განსაზღვრეთ, რომელი სასწავლო ქმედებაა ყველაზე მეტად ადეკვატური აღნიშნული მიზნის მისაღწევად:

I. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს ტერმინებს: შინაგანი მოტივაცია და გარეგანი მოტივაცია და ასახელებს მაგალითებს თითოეულ მათგანზე. მოსწავლეები ირჩევენ, რომელი ტიპის მოტივაცია არის მათთვის ყველაზე სასურველი. მასწავლებელი აძლევს დავალებას მოსწავლეებს, ისწავლონ პარაგრაფი: "სამოქალაქო მონაწილეობა და მოტივაცია".

II. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან თეორიულ მასალას მოტივაციის თეორიების შესახებ. გაკვეთილზე მსჯელობენ შინაგანი და გარეგანი მოტივატორების ეფექტიანობაზე საზოგადოების მონაწილეობის გაზრდისთვის. მასწავლებელი უძღვება მსჯელობის პროცესს და აკეთებს შეჯამებას მოსწავლეებთან ერთად.

III. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს მასლოუს საჭიროებების იერარქიას. შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ სხვადასხვა მოტივატორებზე, ყოფენ მათ გარეგან და შინაგან მოტივატორებად. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს დაწერონ თემა "მოტივაციის მნიშვნელობა სამოქალაქო მონაწილეობისათვის".

ა. მხოლოდ I

ბ. II და III

გ. III და I

დ. მხოლოდ III

21. (2) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (www.geostat.ge) მონაცემები (იხ. დიაგრამა) მასწავლებელმა გამოიყენა, როგორც სასწავლო რესურსი თემისათვის "საგარეო ვაჭრობა" და სხვადასხვა სირთულის დავალებები დაგეგმა.



ცხრილის I სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, ხოლო II სვეტში - აზროვნების სხვადასხვა დონე. დააკავშირეთ კონკრეტული სასწავლო აქტივობა შესაბამის კოგნიტურ მიზანთან:

I. სასწავლო აქტივობები	II. სააზროვნო უნარები
ა. ყურადღებით გაეცანით დიაგრამას და თქვენი სიტყვებით გადმოეცით, რა ინფორმაციას გაწვდით იგი?	1. ცოდნა 2. გაგება 3. გამოყენება 4. ანალიზი 5. სინთეზი
ბ. დაწერეთ სახელმძღვანელოში მოცემული "ექსპორტის" განმარტება.	
გ. არსებული მონაცემების საფუძველზე დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება, რატომ არ არის მსხვილ ჯგუფებს შორის რუსეთი?	
დ. მოიძიეთ სომხეთის მონაცემები და შეადარეთ საქართველოს მონაცემებს?	

22. (6) მასწავლებელი მიზნად ისახავს, მოცემული ტექსტის გამოყენებით, მოსწავლეებს გამოუმუშაოს არგუმენტირებული მსჯელობის უნარი:

„კულტურებმა თავისუფლად უნდა იცხოვრონ, მუდმივად შეეჯიბრონ სხვა კულტურებს. ეს ახანგრძლივებს მათ არსებობას, საშუალებას აძლევს, ევოლუცია და ადაპტაცია განიცადონ სიცოცხლის უწყვეტ ნაკადში. ანტიკურ ეპოქაში ლათინურმა კულტურამ არ მოკლა ბერძნული (ელინური). პირიქით, ელინური კულტურის თვითმყოფადობამ და სიღრმემ გაჟღინთა რომის ცივილიზაცია და, მისი საშუალებით, ჰომეროსის პოემები, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფია მთელს მსოფლიოში გავრცელდა... გლობალიზაცია არ იწვევს ადგილობრივი კულტურების გაქრობას. ღია მსოფლიოს პირობებში, ყოველივე ფასეული, რაც შენახვას იმსახურებს ადგილობრივ კულტურებში, კეთილისმყოფელ ნიადაგს იპოვის.“

მარიო ვარგას ლიოსა, „თავისუფლების კულტურა“

22.1 ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა. დაასაბუთეთ თქვენს მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის შესაბამისობა მოცემულ ტექსტთან და მოსწავლეებთან ამ თემის განხილვის საჭიროება.

22.2 დაასახელეთ ორ-ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის როგორც დასაცავად, ისე უარსაყოფად (თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი).

22.1

სადისკუსიო თემა: ----------

დასაბუთება: ----------

22.2

მტკიცებითი არგუმენტები:

I. ----------

II. ----------

უარმყოფელი არგუმენტები:

I. ----------

II. ----------

---

23. (5) დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ II ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 23.2)*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომელიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული I ამოცანის შესრულებას; *(დავალება 23.3)*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანის და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 23.1)*

23. 1.	**პროექტის მიზანი**	*(ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)*
23. 2.	**პროექტის ამოცანები**	<u>I ამოცანა:</u> **არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის ამაღლება სასკოლო თემში, სასკოლო საზოგადოების გააქტიურება და ჩართვა ბულინგის პრევენციის აქტივობებში;** <u>II ამოცანა:</u> *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა II ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე)*
23. 3.	**განხორციელების გზები**	<u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u> *(დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა)* 1. 2. 3. <u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u> 1. ბულინგის წინააღმდეგ სასჯელის გამკაცრების შესახებ მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან განხილვების გამართვა; 2. ადეკვატური და სამართლიანი სანქციების პაკეტის მომზადება და სამეურვეო საბჭოსთვის შინაგანაწესში ცვლილებების შეთავაზება; 3. ბულინგის შესახებ მიღებული ახალი სასკოლო რეგულაციების გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის.

24. (8) გაეცანით მოსწავლეების ნაშრომებს და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული სქემით: მასწავლებელმა გაკვეთილზე განიხილა თემა "დემოკრატია“ და მოსწავლეებს შესაბამისი მითითებების შემდეგ შესთავაზა წერითი დავალება: "წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატია“.

<u>I მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება :</u>

წარმომადგენლობითი დემოკრატია მართვის ისეთი ფორმაა, როდესაც ხალხი უშუალოდ კი არ ირჩევს ქვეყნის მართვაში მონაწილეობას, არამედ მართავს მის მიერ არჩეული და განვარიშვალდებული წარმომადგენლის მეშვეობით. ამისაბამისად, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ორთორი ძირითადი ელემენტია არჩევნები.
ჩვენ ქვეყანაში არჩევითი ორგანოა პარლამენტი, ასევე მოსახლეობა იარჩევს პრეზიდენტს. პრეზიდენტი იარჩევა ოთხი წლით, ხოლო პარლამენტი – ხუთით. პარლამენტის არჩევნები შეიძლება იყოს პროპორციული და მაჟორიტარული. პროპორციულია, როდესაც პარტიები მათი წევრების პროპორციულად ხვდებიან პარლამენტში. მაჟორიტარული სისტემაში პარტიიდან წარმოდგენილ კონკრეტულ კანდიდატს ვაძლევთ ხმას.
რეგორნდუმი ეწოდება ხალხის აზრის გამოკითხვას ამათუიმ საკითხზე, ამით ხელისუფლება არკვევს ხალხის აზრს, ხოლო პლებისციტის შემთხვევაში ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს და მხოლოდ სხვა პლებისციტს შეუძლია მისი შეღებების შეცვლა.
ჩემი აზრით, არჩევნებიდან არჩევნებამდე ვადები განისაზღვრა ის, რომ ერთი მხრივ, პოლიტიკოსებმა მოასწრონ თავიანთი წინასაარჩევნო დაპირებების განხორციელება, ხოლო, მეორე მხრივ, არ იყვნენ ძალიან დიდი ხანი ხელისუფლებაში ის, რომ ხალხმა უკმაყოფილების შემთხვევაში არჩევნებით ვერ შეძლოს მათი დროულად შეცვლა. ასევე იცვლება საზოგადოების აზრი სხვადასხვა საკითხებზე და ეს უნდა აისახოს ხელისუფლების შემადგენლობაში.

<u>II მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება:</u>

წარმომადგენლობითი დემოკრატია ეწოდება მართვის ისეთ ფორმას, როდესაც ხალხი წარმოადგენს ხელისუფლების წყაროს და ნებისმიერი გადაწყვეტილება მოძღინარეობს მათგან. ამისაბამისად, არჩევნებში მონაწილეობაც მათი განუყრელი უფლებაა.
საქართველოში არჩევნებით ვირჩევთ პრეზიდენტს ხუთი წლით და პარლამენტს ოთხი წლის ვადით. პარლამენტის არჩევნები ცალდება პროპორციული და მაჟორიტარული წესით. პროპორციულია, როდესაც ჩვენ ხმას ვაძლევთ პარტიას, ხოლო მაჟორიტარულია, როდესაც რომელიმე რაიონში ხმას ვაძლევთ კონკრეტულ ადამიანს.
გამდა წარმომადგენლობითი დემოკრატიისა, არსებობს ასევე უშუალო დემოკრატია, ხალხი იღებს გადაწყვეტილებებს რეგორნდუმით, რომელის შედეგების გათვალისწინებაა სავალდებულოა. ასევე, სახელმწიფო ხალხის მოსაზრების გასარკვევად აცხადებს

საყოველთაო ეამოყითხვას, რომელსაც ნლეჭისც�ი ენოდეჭა და აქ ეგზით ძიღეჭყლ ეადანყვეცილეჭასაც ყანონის ძალა აქვს.
ანჩევნეჭს ჯორის დადგენილი ვადეჭი ეამოძდინარეოჭს ყონსტიტუციიდან და სინქრონიზირეჭყლია საყანონმდეჭლო ნროცესეჭთან და ჭიუჯეტის ეეეყავეჭასთან, ანიცოძაც ანის მოცეძყლი ვადეჭი ძყაცრად ეანერილი და საეალდეჭყლო. ერთი და იძავე ადამიანეჭის ხელისყვლეჭაში დიდხანს ყოფნა ზრდის იძის საფრთხეს, რომ ძათი ეაყონტროლეჭა საზოეადოეჭის ძხრიდან ეეყძლეჭელი ეახდეჭა. ვადეჭი ეედარეჭით ძცირე იძიცოძ ანის, რიოძ ესეა ადამიანეჭსაც ძიეცეთ ხელისყვლეჭაში ყოფნის საეყალეჭა.

<u>შეფასების სქემა</u>

	I. რა მოწმდება	II. მაქსიმა-ლური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი
A.	**წარმომადგენლობითი დემოკრატიის განმარტება**	1	იცის განმარტება –1ქ. , არ იცის განმარტება – 0 ქ.;
B.	**საარჩევნო სისტემები და ვადები**	3	სწორად განმარტავს არჩევნების პროპორციულ სისტემას – 1ქ., სწორად განმარტავს არჩევნების მაჟორიტარულ სისტემას – 1ქ., იცის რა ვადებით ირჩევა როგორც პრეზიდენტი, ისე პარლამენტი – 1ქ;
C.	**რეფერენდუმი და პლებისციტი**	2	სწორად მსჯელობს რეფერენდუმზე – 1ქ., სწორად მსჯელობს პლებისციტზე – 1ქ.;
D.	**მსჯელობა საარჩევნო ვადის ოპტიმალურობის შესახებ**	4	თითოეული ლოგიკური არგუმენტი - თითო ქულა.

ყურადღებით გაეცანით შეფასების სქემას და ორივე მოსწავლის ნაშრომი შეაფასეთ მოცემული სქემის მიხედვით. მოსწავლეებს დაუწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე.

მოსწავლისათვის თქვენს მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ ცხრილში:

		A	B	C	D
24.1	I მოსწავლის შეფასება				
24.2	II მოსწავლის შეფასება				

25. (7) მოცემულ სასწავლო რესურსზე დაყრდნობით განსაზღვრეთ გაკვეთილის თემა და დაგეგმეთ სასწავლო პროცესი:

	აღმასრულებელი ორგანო	პოლიტიკის განმსაზღვრელი წარმომადგენლობითი ორგანო
ცენტრ. დონე	მთავრობა	პარლამენტი
ადგილ. დონე	გამგეობა	საკრებულო
სკოლა	ადმინისტრაცია	სამეურვეო საბჭო

25.1 დაასახელეთ თემა, რომლის უკეთ გააზრებაშიც დაეხმარება მოსწავლეებს მოცემული სქემის სასწავლო რესურსად გამოყენება;

25.2 ჩამოაყალიბეთ სასწავლო მიზანი, რომლის მიღწევაცაა შესაძლებელი ამ სქემის გამოყენებით. ჩამოაყალიბეთ კონკრეტულად რა ცოდნა, უნარები და განწყობა/ დამოკიდებულება გსურთ შეიძინონ მოსწავლეებმა თემის შესწავლისას;

25.3 დაასახელეთ წინაპირობა, რა წინასწარი ცოდნა მოეთხოვება მოსწავლეებს, რათა შეძლონ საკითხის უკეთ გააზრება;

25.4 აღწერეთ სასწავლო მიზნის შესაბამისი და მოცემული რესურსის გამოყენებით დაგეგმილი კონკრეტული აქტივობა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს თემის უკეთ გააზრებაში.

25.1	**თემა:**
25.2 **სასწავლო მიზანი:**	**I. ცოდნა** **II. უნარები** **III. განწყობა /დამოკიდებულება:**
25.3. **წინაპირობა:**	(რა წინასწარი ცოდნა მოეთხოვება მოსწავლეს)
25.4 **სასწავლო აქტივობა:**	*(აღწერეთ თანმიმდევრულად, სრულყოფილად და ლაკონურად სასწავლო ქმედება)* *გაითვალისწინეთ! აქტივობა აღწერეთ თემასთან მიმართებაში. მხოლოდ მეთოდების ან ორგანიზების ფორმის დასახელება შეფასდება 0 ქულით.*